საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
K 19.731/3

19.731
3

თაიგული

(ლექსები)

გამოცემა მიხ. კალანდაძისა.

ბათუმი
ტიპა ბ. ს. თავართქილაძისა.
1910.

3 ბიბლ.
899.962.1-1.

თაიგული

(ლექსები)

გამოცემა მიხ. კალანდაძისა.

К 19.731
3

ბათუმი
სტამბა ბ. ს. თავართქილაძისა.
1910.

3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ი გ უ ლ ი

(ვუძღვნი აკაკის)



ფელოს სიმწვანე მოვპარე,
სინაზე—ტურფა იასა,
და სურნელება, ელფერი —
კოკობ ვარდს, გულ-მკერდ ღიასა;
სიმშვენიერე გაზაფხულს,
ტკბილი ხმა-კილო—ბულბულსა,
და სიხალისე—ნაკადულს,
კიდე-ნაპირებ შემკულსა;
ციმციმი—მალხაზ ღილის ცვარს
კაშკაში, შუქი—მთვარესა,
და ბრწყინვალება დიად მზეს,
ლაჟვარდში მოელვარესა...
მთელი სიტურფე ბუნების
შევკარი თაიგულათა
და შენ მოგიძღვენ, მგოსანო,
ეს შენ გეკუთვნის სრულათა!
ნიშნათ პატივის ცემისა
მიიღე, მამათმთავარო,
წკრიალა ჩანგის მპყრობელო,
ერის დიდებავ, ჯავარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახ ერთხელ კიდევ რომ დამენახე!..

(სონეტები)

I.

ახ, მახსოვს, მახსოვს, ნაკადის პირათ,
სადაც ყვავოდა ნაზი ბუნება,
ვიჯექ ოცნებით გატაცებული:
შენ გიგონებდი, ჩემო ღვთაება!
მოულოდნელათ სახე ნათელი
თვალ-წინ დამიდექ, ვით ბადრი მთვარე,
გაიკაშკაშე, გაფანტე ბნელი,
მიდამო ტურფათ ააელვარე!..

ზე წამოვარდი, გავშალე ხელი,
მინდოდა გულში ჩამეკარ მწველი,
მაგრამ მსწრაფლ გაქრი, გაეკარ ცასა,
როგორც ღრუბელი მსუბუქ ფრთოსანი,
მე აქ დამაგდე შენი მგოსანი
და მიეფარე, მნათობო, თვალსა!

II

ერთხელ კვლავ მოგკარ თვალი სივრცეში:
ღრუბელთა ეტლში იჯექ, მიქროდი,
ვარსკვლავებს კრეფდი მოცმიცმესა
და მით მშვენიერ გულ-მკერდს იმკობდი!
გამოგიდექი ოცნების ფრთებით,
მაგრამ ვერ დაგწვდი, ლაჟვარდს მიფარდი.
ოხ, არ მელირსა რომ მეთქვა შენთვის—
როგორ მომწონდი, როგორ მიყვარდი!

ბევრი გეევდრე, ბევრი გეძახე,
ბევრი ვიკნესე და ვივაგლახე,
მაგრამ, სულიკო, ვერ გაგაგონე
და გულ-მოკლული, კაეშნიანი,
სევდით მოცული, თვალ-ცრემლიანი
მიწას დავაწყდი, დავკარგე ღონე!

III

მას შემდეგ, ჩემო გულის ყვავილო,
ლაჟვარდ სივრცეში, ტყეში, მთა-ბარად,
დარში, ავდარში, დღისით და ღამით
გაფაციცებით დაგეძებ მარად,
მაგრამ ამოოთ: ვერ მოვკარ თვალი
შენს ნათელ სახეს, ტურფათ გაბადრულს,
და კაეშანი, სულისა მღრღნელი,
აღარ შორდება ლაობლებულ გულს!
ახ, ერთხელ კიდევ რომ დამენახე:
გამიქრებოდა გულს სივაგლახე,
სიხარულითა ცას მივსწვდებოდი,
თეთრ ფრთიან ღრუბლათ გადვიქცევოდი,
როგორც მთას ნისლი, მოგეხვევოდი,
და სამუდამოთ თან წაგყვებოდი!

IV

სადა გაქვს სადა მუდმივი ბინა?
სად დანავარდობ? სად დაჭიკჭიკობ?
მიწას ეკუთვნი თუ ლაჟვარდ ცასა,
სამყაროს რომელ კუთხესა ამკობ?
როდის ეწვევი ჩემს ობოლ ბაღსა,
ბროლის თითებით, მოსწყეტავ ვარდსა,
გულზე დამაბნევ შენს ერთგულ მგოსანს,
გამიქრობ სევდას, გამიქრობ დარდსა?

შენთვის ავაწყე ჩანგი წკრიალა,
არ დამიზოგავს ნიჭი და ძალა...
მოდი, ისმინე ციური ხმები
და ბნელით მოცულს, ნათელი მფინე,
აღმაფრთოვანე, ზეამაფრინე,
სიხარულისა შემასხი ფრთები!

დ ე მ ო ნ ს

ამლილ მთა-ბარსა თოვლი ფარავდა,
ნაკადულს ედვა ყინულთ ბორკილი
და მწარეთ კვნესდა ტყე-მინდორ-ველი
ტანჯვის უღელს ქვეშ გრკალებრ მოხრილი.
მეც ქედს გიხრიდი მაშინ დემონო,
მაგრამ აწ არ მსურს გეყმო, გემონო!

—

ფერი იცვალა უკვე ბუნებამ,
საგაზაფხულო სიომ დაბერა
და ცასა მოსწყდა ცვარი ციმციმით
ვარდსა დაეცა, ააელფერა.
მეც შევიცვალე... ჰოი, დემონო,
არ ძალმიძს ისევ გეყმო, გემონო!

—

გაზაფხულისა სიტკბო-სიამე
რაკი ვიგემე, რაკი ვიამე,
ვერ დავთმობ, ვერა, სანამ სიცოცხლის
არ დამიჭკნება ნაზი ია მე
მაშ შორს, შორს ჩემგან, ავო დემონო,
ტყულათ ნუ ფიქრობ გეყმო, გემონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიავს

ეაყვარდ სივრცეში პირბადრი მთვარე
ნელა დასცურავს შუქ მოელვარე,
მის გარეშემო ვარსკლავთა კრება
ფერხულსა უვლის, ციმციმებს, კრთება.
მთა-ბარსა ხურავს თეთრი ზეწარი,
არსად ჩანს მწვანე მდელო, ბუჩქნარი.
ყინულთ ბორკილი ადევს ნაკადულს,
მწარეთ ბუტბუტებს, ვერ გრძნობს სიხარულს.
რაც დღისით ფეთქავს, ყველაფერს სძინავს,
მხოლოდ ნიავი წყნარათ დაფრინავს.

ნიავო! გასწი, გაშალე ფრთები,
გადაიარე ზღვები და მთები,
მონახე ჩემი ლამაზი ვარდი,
უამბე ჩემი სევდა და დარდი.
უთხარ: რომ მისთვის კვლავ მიძგერს გული,
უმისოთ არ მსურს სიცოცხლე კრული.
დღეს თუ არ ესმის ჩემი ხმა მის ყურს,
დროებითია... ნუ გაიტეხს გულს.
წავა, გაქრება მკაცრი ზამთარი,
კვლავ აყვავდება ტურფათ მთა-ბარი,
მეც ფრთასა გავშლი მისი ბულბული
და შემოვსძახებ მთლათ აგზნებული.
დავგლეჯ ნარ-ეკალს მის გარს შემოკრულს,
გულში ჩავიკრავ ტურფათ გაფურჩქნულს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონაკვნები

ვლავ გაზაფხულდა, სიცოცხლის ძალამ
იფეთქა, "გაქრა ზამთარი კრული,
აქ ია-ვარდი გადაფურჩქნა,
იქ აზურმუხტდა ტყე დაბურული!

—

ჩუ! აგერ შაშვმაც ჩამოკრა ჩანგსა,
ლხინსა მიეცა ტურფა ბუნება,
მე-კი კვლავ სევდა მეალერსება,
შავ ფიქრთა ზღვაში სცურავს გონება!

—

ბრძოლით დაქანცულს მოსვენება მსურს,
სად დავაყენო საბრალო ნავი?—
ზეცა ცივი და ცარიელია,
ეს ქვეყანა კი—შხამ-საწამლავი!

—

აღთქმული მხარე მეტათ შორს მოსჩანს,
იქ ვერ მივაწევ, ღონე მიხდილი,
როგორც აჩრდილი, ყველგან, ყოველთვის
თან დამდევს უკან შავი სიკვდილი!

—

სიკვდილო! მოდი, გადამეხვიე,
ვერ შემაშინებს ეგ შენი ცელი:
სიკვდილს თან მოსდევს ისევ სიცოცხლე,
სიცოცხლეს—ბრძოლა შეუწყვეტელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკავილს

ეხ, ნეტავი შენ
მინდვრის ყვავილო,
მწვანე ბუჩქის ძირს
ტურფათ გაშლილო!

ლამაზათ ყვავი,
ამკობ მიდამოს,
სურნელებასა
აფრქვევ საამოს!

ზეფირი ფრთას გცემს,
ირხევი ნაზათ,
მდელო გიგია
ქვეშ ფიანდაზათ!

თავსა გევლება
თეთრი პეპელა,
გეალერსება,
გკოცნის ნელ-ნელა!

შენ იმით ხარობ,
ივი კი—შენით
და წუთის სოფელს
ატარებთ ლხენით!

მე-კი ვერ ვხედავ
ჩემს სატრფოს თვალით,
ვერ ვტკბები მისი
სიტურფის ძალით!

ცხრა კლიტულში ზის
ხელ-ფეხ შეკრული,
სულსა უხუთავს
ბოროტი სული!
ვაჰმე, ვერ ვშველი,
მისი ჭირიმე,
და გულ-მოკლული
მწარეთ ვსტირი მე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზარე.

ოცა ცისკარი სხივებ-გაშლილი
ციმციმ-კაშკაშით გამობრწყინდება,
აღმოსავლეთსა ლაჟვარდ მხრებზედა
წითელ მანტიათ წამოესხმება
და გათენების მოახლოვებას
ცა და ქვეყანას აუწყებს მითა,—
მაშინ მეზარეც ჩამოკრავს ზარსა
და თან ღიღინებს დაბალის ხმითა:

„მე მეზარე ვარ, ჩემი ზარის ხმა
გულს ლახვრათ ხვდება ბოროტ ბელზებელს
და მახეს მიგებს, რომ მიგდოს ხელ'ში
და ჯოჯოხეთ'ში მიმცეს სატანჯველს,—
მაგრამ მე მაინც ვრეკავ და ვრეკავ,
ვუხმობ, ვაღვიძებ მძინარე ერსა,
რომ შეიკრიბონ წმინდა ტაძარში
და თაყვანი სცენ სიმართლის ღმერთსა“.

და მეც ყურს ვუგდებ სულ-განაბული,
მომწონს და მიყვარს მისი ხელობა
და ვეუბნები: ჰოი, მეზარევ!
არ დაივიწყო მოვალეობა:
რეკე და რეკე შეუსვენებლივ,
გახსოვდეს მარად ბრძნული თქმულება:
ის უკვდავების გვირგვინს დაიდგამს,
ვინც ხალხს პირნათლათ ემსახურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ჯვარზეა გაკრული.

ვრთა გაუშლია ნიავსა,
დაფრინავს მთაო და ბარათა,
ხან ახმაურებს ზურმუხტ ტყეს,
ხან ბუჩქებს არხევს წყნარათა,
ხან სუმბულს ეჩურჩულება,
ხან ყელს ეხვევა იასა,
ხან ეკონება კოკობ ვარდს,
ტუჩებს უკოცნის ღიასა...
ნიავო! შესდექ. მითხარი:
სად არის ქრისტე, უფალი?
—ისევ ჯვარზეა გაკრული,
ვით ავაზაკი, მუხთალი.

—

მთვარე დასცურავს ლაჟვარდში,
შუქსა ჰფენს არემარესა,
ეალერსება ბუნებას,
გაფურჩქნულს, მონარნარესა...
შუქურას თვალსა უშვრება,
შესტრფის, შეხარის განთიადს,
ცისკარს სიყვარულს უცხადებს,
ვერ მალავს გულის ხვაშიადს.
მთვარევ! შეჩერდი, მითხარი:
სად არის ქრისტე, უფალი?
—ისევ ჯვარზეა გაკრული,
ვით ავაზაკი, მუხთალი.

—

ჩუხჩუხით მოქუხს ნაკადი,
მოხტუნავს ქვიდან ქვაზედა,
ნაპირებს პირს ბანს, რომ ძილი
არ მოერიოთ თვალზედა,
და მოჩქრიალებს დაბლისკენ,
რაკრაკებს უცხო ხმაზედა,
გულში იხატავს ანკარა,
რაც მნათობია ცაზედა.
ნაკადო! შესდექ, მითხარი:
სად არის ქრისტე, უფალი?
—ისევ ჯვარზეა გაკრული,
ვით ავაზაკი, მუხთალი.

—

მესმის პასუხი ბუნების:
სული სწუხს, გული ღონდება,
ქრისტე გაკრული ჯვარზედა
თვალ-წინ სიცხადით მიდგება.
ვკითხულობ: როდის დადგება
დრო სანეტარო, დიადი,
კეთილი ბოროტს დაამხობს,
გაიფანტება წყვდიადი?
მაგრამ პასუხი არ ისმის,
დუმილი მეფობს ძალზედა.
ნეტა როდემდის იკენესებს
ქრისტე წამების ჯვარზედა?!



არჩილის ხსოვნას.

ოვლს დაუფარავს მთათა მწვერვალნი,
სასტიკი ქარი დაღმუის ბარათ,
მზე მიმალულა შავ-ბნელ ღრუბლებში,
ბუნება კვნესის, ცრემლი სდის ღვარათ.
მითხარ, ბუნებავ, შენ ვის დასტირე,
ვის აფრქვევ ცრემლებს გულ-ამღვრეული?
—სიმართლისათვის მედგარ ბრძოლაში,
ვინც ღირსეულათ დალია სული,
გამომწყვდეული ოთხ კედელ შორის,
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ გაკრული!

—

მწარეთ ქვითინებს მშრომელთა კერა,
ფრთა გაუშლია მწუხარებესა:
დიდი, პატარა, კაცი თუ ქალი
გლოვობს და აფრქვევს მდუღარებასა.
მარქვით, ჩაგრულნო, თქვენ ვის დასტირით,
ვის აფრქვევთ ცრემლებს გულ-ამღვრეული?
—სიმართლისათვის მედგარ ბრძოლაში,
ვინც ღირსეულათ დალია სული,
გამომწყვდეული ოთხ კედელ შორის,
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ გაკრული!

—

სევდა-ნაღველი სწვევია მგოსანს,
ძაძით მოურთავს ლამაზი ჩანგი,
მწარეთ აკვნესებს წკრიალა სიმებს
და შორს გაისმის მწუხარე ჰანგი.

მითხარ, მგოსანო, შენ ვის დასტირი,
ვის აფრქვევ ცრემლებს გულ-ამღვრეული?
—სიმართლისათვის მედგარ ბრძოლაში,
ვინც ღირსეულათ დალია სული,
გამომწყდეული ოთხ კედელ შორის,
წამების ჯვარზე ხელ-ფეხ გაკრული!

გამოიღვიძე დედიკო.

ნამეა, ღამე, საზარი,
ფრთა გაუშლია წყვდიადსა,
მაღლა ცა არ ჩანს, ძირს ბარი,
ვერ ვსჭვრეტ ბუნებას დიადსა!
სიცოცხლის ძარღვი არ ფეთქავს,
ძილს მისცემია ქვეყანა,
„არსით ხმა, არსით ძახილი“,
დუმილი მეფობს ყველგანა!
ღარიბულ ქოხში ლოგინზე
ძევს ცივი გვამი დედისა,
თან აღბეჭდია სახეზე
მდურვა უკეღმართ ბედისა!
„გამოიღვიძე დედიკო“,
ემუდარება პატარა
და თან ძუძუს სთხოვს ტირილით,
ცრემლები სცვივა ანკარა!
მაგრამ ვის ესმის უმანკო
ღუღუნი პაწა მტრედისა?
კარგა ხანია გაცივდა
მგრძნობელი გული დედისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢᲘ

ამავალი მზე სხივებ-გაშლილი
გადმომდგარიყო მთისა მწვერვალზე
და ქვეშ ღრუბელი, ვით ბამბის ქულა,
გადაპენტილი იყო ნაძვნარზე!

ზურმუხტ ფერდობზე ცისარტყელასა
შვიდ-ფეროვანი გაევლო ზოლი,
ძირს ნაკადული მოჩქრიალებდა
ანკარა, როგორც თვალი ობოლი!

შიგ კალმახები, ცივი წყლის შვილნი,
დათამამშობდენ, ხტოდენ, ცელქობდენ
და მოჩუხჩუხე ნაკადის გულსა
ჭრელ ქათიბებით ხატავ-ამკობდენ!

იქვე გორაკზე იჯდა ჭაბუკი,
უსაზღვრო სივრცეს შორს გაყურებდა,
მას ეს დიადი სანახაობა
ვერ იზიდავდა, ვერ ატყვევებდა!

ფიქრობდა: „რაა მთელი მსოფლიო?—
სივრცე უსაზღვრო, სივრცე უფსკრული,
მუდამ მოძრავი, რასაც არა აქვს
არც დასაწყისი, არც დასასრული,

ადამიანი კი არის ჭია,
ამ მსოფლიოში მოხეტიალე,
რომელიც იბრძვის არსებობისთვის,
არ იცის, თუ რა მოელის ხვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ რათ სთელის თავსა ბუნების მეფედ?!
ნუ თუ იმისთვის, რომ მისი ძალნი
დაიმორჩილა და ააბრუნა
მით მანქანები სხვა და სხვა გვარი?

მაგრამ იმავე ბუნებას განა
არ ძალუძს ერთი დაიგრიალოს,
ადამიანი, მის სამყოფელი
მთლათ მტრათ აქციოს, გაატიალოს!?!“

და, ამ ფიქრებში სუმთლათ ჩანთქმული,
უსაზღვრო სივრცეს გასცქერდა შორსა,
თითქო იქიდან გამოელოდა
ამ კითხვის პასუხს უტყუარს, სწორსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახ, ერთხელ კიდევ მახსმინე ის ხმა!..

ბურფავ! მღეროდი... ჰანგი ჰანგს სცვლიდა
გულის სიღრმიდან ამონაკვნესი
და მასთან ერთად შენი თვალებიც
ნაპერწკლებს ყრიდენ, როგორც ტალ-კვესი!

—

ხმას ხან სრულიად მოამკვდარებდი,
ხან აუწევდი, ცაში კარგავდი,
შიგ მოძმეთ ტანჯვებს, ბრძოლის სურვილებს
და ხსნის იმედებს ქსოვდი, ქარგავდი!

—

მე ყურს გიგდებდი და შენთან ერთად
ვიწოდი გრძნობის ცეცხლ მოდებული
და, ვითარცა ზღვა, თავის ბუდეში
ვერ ეტევოდა მღელვარე გული!

—

მაგრამ შესწყვიტე სიმღერა მწველი...
გარეთ გამოსკდა ცრემლთ ნაკადული
და წამოიღო თან ზღვა ბოდმისა
გულში რომ გქონდა დაგუბებული!

—

მეც აექვითინდი, ორი ნაღველი
გადაეხვია ერთი მეორეს
და, ენით თქმული, უხმოთ, უსიტყვოთ
ახლა თვალებმა გაიმეორეს!..

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც სიამით ვიგონებ იმ წამს,
თვალ-წინ მიდგიხარ სახე ნათელი,
მაგრამ არ მესმის შენი სიმღერა—
ჩვენი გულისთქმის გამომხატველი!

——

. ახ, ერთხელ კიდევ მასმინე ის ხმა,
სევდა-იმედით შეზავებული
და ფიანდაზათ ამ ჩემს სიცოცხლეს
ფეხთ ქვეშ გაგიმლი ტანჯულს ტანჯული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კი მიხვდი.

I

ახსოვს, მდელოზე იჯექ მარტოკა,
შენს გარშემო ბუნება ნაზი
ტურფათ ყვავოდა, იფურჩქნებოდა,
ეგრიხებოდა ყელზე ვაზს ვაზი!
გვერდით ნაკადი მოჩქრიალებდა,
როგორც ყინული ცივი, ანკარა,
შიგ, ვით სარკეში, იხედებოდი,
ხელში გეჭირა ვარდი პატარა
და გიშრის თმაზე კოხტათ იბნევდი,
თან მოსხიბლავათ იღიმებოდი
და იქ ჩახატულ შენსავე სახეს
შორით კოცნიდი, შორით შესტრფოდი!
თავს დაგჩხავოდა შავი ყორანი,
მაგრამ შენ იმას ყურს არ აპყრობდი!
ხან დაფრინავდი ოცნების ფრთეებით,
ხან სიყვარულის ჰიმნსა გალობდი!

II

გავიდა ხანი. იმავე ადგილს
გიხილე ისევ, ლანდათ ქცეული,
მიმქრალ თვალებზე ცრემლი გდიოდა,
მწარეთ კვნესოდი, როგორც ეული!
ბუნება ისევ ისე ყვავოდა
ათას ნაირათ გადაფურჩქნული
და ნაკადულიც მოჩუხჩუხებდა
კიდე-ნაპირებ ტურფათ შემკული!

შენ კი შორს იდექ, ველარ ბედავდი
შიგ ჩაგეხედა, გეხილა სახე,
რომ ერთი ორათ არ ქცეულიყო:
ბოლმა, ვარამი და სივაგლახე!
და კვლავ დაგჩხავლა შავმა ყორანმა,
შეკრთი, გულს მოგხვდა მწყლელი ისარი,
ახლა კი მიხვდი რასაც ნიშნავდა
მისი ჩხავილი, ის საზიზღარი!

---

* * *

ზაზაფხული მოცქრიალებს,
მთა-ბარს ხატავს, აფერადებს,
იქ ტყეს აცმევს ზურმუხტ კაბას,
აქ შლის, ფურჩქნის ია-ვარდებს...
ვიმ, ბუნებავ, რა წესი გაქვს:
დღეს მკვდარი ხარ, ხვალ ცოცხალი;
ნეტა ჩვენზეც ვრცელდებოდეს
ეგ უცვლელი კანონ-ძალი!
თუმც ხანდახან ჩვენს გულშიაც
აფეთქდება გაზაფხული
და, ვით ვარდი, გაიშლება
ნეტარება, სიხარული,
მაგრამ წამსვე ტანჯვის სუსხი
ძირში მოკვეთს, დაამჭკნარებს
და კვლავ ვკვნესით უიმედოთ:
ჩვენთვის როდის გაიდარებს?!

ფიქრო! გასწი...

ღვასა სძინავს, სიო ფრინავს,
ნაზათ თავს ხრის ბუჩქ-მცენარე
და მზის სხივებს მკერდში იკრავს
მოქარგული არე-მარე.

სერზე ვდგევარ, გადავყურებ
დაბლა გაშლილ ქალაქ-სოფელს
და რას ვხედავ? რას ვუყურებ?
მხოლოთ ტანჯვას, გულის მომწყვლელს!

ვაჰმე, ნუთუ გაჭირვებას
აღარა აქვს დასასრული
და ბრეყალებში, მწუხარებას,
უნდა ეპყრას მარად გული?!

—

ფიქრო! გასწი, ფრთა გაშალე,
გადალახე ზღვა და ხმელი
და გლახ გულში ამოშალე
მწარე გრძნობა, სულის მღრღნელი!

ნახე მხარე სანეტარო,
ია-ვარდით შემკობილი,
სადაც მოსჩქეფს შვების წყარო,
სტვენს ბულბული ენა ტკბილი!

იქ იმედის თაიგული
შეკარ, თანვე მოიტანე,
მანუგეშე მით ჩაგრული,
გამამხნევე, მანეტარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსურს ავიღო ხელში ჩანგი,
სიმთ ჩამოვკრა, ავაჟღერო,
გრძნობით სავსე უცხო ჰანგი
მომხიბლავათ დავამღერო.

და სიტყვები საიმედო
ვუთხრა ტანჯულს, მოხრილს წელში,
მწარეთ რომ კვნესს უიმედო
და იხრჩვება მისვე ცრემლში.

რომ მით გული აუტოკო,
გავამხნევო, აღვადგინო,
ბოროტ ძალას დავატეკო,
მომავლისკენ გავიფრინო!

გ ა მ ც ე მ ს.

ახსოვს, განთიადს ტახტი დაედგა,
წითლათ ღვივოდა ცისა კიდური,
თითქო მის გაშლილ ლაჟვარდ გულ-მკერდზე
ვარდები იყო ჩამოკიდული.

—

ღამის გუშაგი—პირბადრი მთვარე
ვარსკვლავებ შორის მიმოცურავდა
და იმის მკრთალ შუქს მთა-ბარი მწვანე,
ვით სატრფო სატრფოს, გულში იკრავდა.

—

მთის ცელქი შვილი—გრილი ნიავი
ბუჩქ-ბალახებთან მუსაიფობდა
და ძირს სცვივოდა ციური ნამი,
ზურმუხტ ფოთლებზე რომ ციმციმობდა.

—

ქალაქს ეძინა... ჩვენ მივდიოდით,
ერთი მეორეს თუმც ვერ ვიცნობდით,
მაგრამ თვალები—ეგ გულის სარკე—
აშკარათ ყოფდენ რასაც ვფიქრობდით.

—

და მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს,
სადაც ყვავოდა ტყე დაბურული
და მოეყარათ თავი შრომის შვილთ,
რომ ურთერთისთვის გაენდოთ გული.

—

ყური დავუგდეთ გრძნობით თქმულ სიტყვებს,
სულს ჩამოშორდა სევდა ფრთა შავი...
და ფიცი დავდეთ წმინდა მიზნისთვის,
რომ შეგვეწირა სიცოცხლე, თავი.

—

მაგრამ განვლო დრომ: ბევრი ჩვენგანი
ცხოვრების ტალღამ ქვეშ მოიტანა,
ბევრი კვლავ იბრძვის, ბევრს ჯოჯოხეთში
სტანჯავს, აწამებს ავი სატანა;

—

შენ კი გაყიდე წმინდა მიზანი,
ჩვენს სისხლის მსმელსა მიეცი ხელი...
ჰოი, იუდავ, მოძმეთ გამცემო,
წყეულიმც იყოს შენი სახელი!!

შენ აქ დაგტოვე.

ენ აქ დაგტოვე, მე კი გავყევ ცელქსა ნიავსა,
სად მივდიოდი, რა მინდოდა, ახლაც არ ვიცი,
მაგრამ გული კი სადღაც შორს, შორს მიისწრაფოდა,
თითქო ქონოდეს მიცემული ვიზედმე ფიცი:

ან კი რა მექნა? ჯოჯოხეთში შემზარდა ყოფნა
და გადავწყვიტე ერთხანს მაინც გავშორებოდი,
მეხეტიალნა უგზო-უკვლოთ აღმა და დაღმა,
ხან ვარდ-ყვავილებს, ხან ვარსკვლავებს შევერთებოდი.

მაგრამ, როდესაც მოვწყდი მიწას, გავეკარ ცასა,
თვალ-წინ დამიდგა შენი სახე, სახე ტანჯული,
და მყის დავშორდი ჩემს თანამგზავრს—ცელქსა ნიავსა
და კვლავ შენთან ვარ სამუდამოთ, შენი ერთგული.

დე მომიკიდოს ჯოჯოხეთმა მწველი გენია,
დე ჩამიყაროს შავმა გველმა გულ-მკერდში კბილი,
კვლავ არასოდეს არ დაგტოვებ, არ გაგშორდები,
სხვასთან სიცოცხლეს მირჩევნია შენთან სიკვდილი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონაკვნესი.

Ოწვანით შემოსილ მინდორ-ველს გავყევ,
დავკრიფე უცხო ვარდ-ყვავილები,
მთელი სიტურფე ნაზი ბუნების,
გულს დავიბნიე, როგორც ღილები.
მეგონა ამით კმაყოფილებას
მოვუპოვებდი დატანჯულ სულსა,
გავიქარვებდი გულის კეშანს,
მივეცემოდი წამს სიხარულსა.
მაგრამ მოვსტყუვდი: სული კვლავ კვნესის,
შესძახის ტყე-ველს, ბუჩქ-მცენარესა:
სად ყვავის ჩემი ლამაზი ვარდი?
რომელ წალკოტში? რომელ მხარესა?
მაგრამ პასუხის ნაცვლათ სხვა და სხვა
ჰანგები მესმის გულის დამწველი
და კეშანი ფრთას შლის თან და თან,
მიორკეცდება სევდა ნაღველი!

—

„ტურფა წალკოტში ვარდი ყვავოდა,
გულს უბრწყინავდა ცვარი ანკარა,
მაგრამ მოსწყვიტა სასტიკმა ქარმა
და სადღაც შორს, შორს... დაასამარა!“
მღერის ნიავი ლაღათ მფრინავი
და დანავარდობს, დაქრის მთა-ბარათ
მე ყურსა ვუგდებ... შავი ფიქრები,
როგორც მთას ნისლი, მეხვევა ჯარათ.
შევსძახი: ეგებ ის ტურფა ვარდი
ჩემი სატრფოა, ნაზ-მომხიბლავი?

მითხარ, რომ ცრემლით მაინც დავნამო
ჩემთვის ძვირფასი მისი საფლავი!
მაგრამ ფრთა-მარდი პასუხს არ მაძლევს
და გულსა მიღრღნის ეჭვი წყეული.
ვაჰმე, როდემდის უნდა ვიტანჯო
ეგრე ორ ცეცხლში გამომწყვდეული!!

—

„პეპელა ვარდსა ჩაეკრა გულში,
ძირს ჩამოვარდა ცომცომა ნამი;
იგი ცრემლია სიხარულისა,
რომ გამოსცადეს დიადი წამი!“
მღერის ნაკადი და მიჩქრიალებს,
პირს ბანს ნაპირებს ტურფათ შემკულსა.
მე ყურსა ვუგდებ და ცხარე ცრემლნი
მცვივა თვალთაგან აღშფოთებულსა.
შევსძახი: ეგებ ის ტურფა ვარდი
ჩემი სატრფოა... ჩემი ღვთაება
ახლა პეპელამ დაისაკუთრა
და იგი კოცნის, ის ეკონება?
მაგრამ ჩუხჩუხა პასუხს არ მაძლევს
და გულსა მიწყლავს ეჭვი წყეული.
ვაჰმე, როდემდის უნდა ვიტანჯო
ეგრე ორ ცეცხლში გამომწყვდეული!!

ნუ სტირი, დედავ!

ე ავათა ვარ, მელევა ძალი,
ვიწვი, თანდათან მედება ალი,
შენ თავს მადგიხარ, მწარეთ ქვითინებ,
მდუღარე ცრემლით გევსება თვალი.

ნუ სტირი დედავ! მე არ მოვკდები:
ტურფა ბუნებას შევუერთდები
და ნაზ ყვავილათ, უცხო მცენარეთ
ზურმუხტ მინდორზე გადავიშლები.

არ მრწამს სიკვდილი, არარაობა...
სამარადისო არის ცხოვრება:
სიცოცხლე, ბრძოლა არსებობისთვის,
იქვე იწყება, სადაც თავდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ხ ი ვ ი.

ყვდიადით მოკულ არეში
ვიხილე სხივი მთვარისა,
გულში იკრავდენ ყვავილნი
ზურმუხტი არემარისა:

ვარდი, სუმბული, შროშანი,
ია, ნარგიზი, ენძელა,
რომელთაც ნაზათ არხევდა
ცელქი ნიავი ნელ-ნელა.

შევძახე: ვაშა, მნათობო,
გამხარებელო გულისა,
სევდიან-კაუშნიანის
და შხამ-სამსალა სმულისა!

იბრწყინე მარად, იბრწყინე,
გვინათე ღამე წყვდიადი,
ვიდრე ამოვა ჩვენს ცაზე
მზე სხივგაშლილი, დიადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭანგსა დავეძებ.

ჭანგსა დავეძებ ტკბილ-სანეტაროს
დამატკბობელსა ტანჯულ სულისა,
მაგრამ, ვაიმე, ვერ ვნახე იგი,
მომნიჭებელი სიხარულისა!

სითაც გავხედე—ყველგან ცრემლები,
ვაი-ვაგლახი, მოთქმა, გოდება...
ნუთუ კაეშანს, სულის შემხუთველს,
ბოლო არასდროს არ მოეღება?!

ცავ, მოპირქეშდი, შეიკარ წარბნი,
გრიგალო, მედგრათ დაიგრიალე,
ელვავ, იელვე, მეხო, გავარდი,
ქვეყანა ძველი გაატიალე!

ახალ ცხოვრების ტალღათა შორის,
რომ სანეტარო ვიპოვო ჭანგი,
გადავაქარგო გულ-მკერდზე სიმებს
და ავაყღერო ხმა-ტკბილათ ჩანგი!

ე. ნინოშვილის ხსოვნას.

ალაქს გავშორდი,
გავედი სოფლათ,
ვნახე საფლავი
მდებარე ობლათ.
ცა ცვარს აფრქვევდა,
შუქს ფენდა მთვარე,
გულში იკრავდა
ზურმუხტი არე;
მკერდსა უმკობდა
ია, სუმბული
და უგალობდა
ტკბილათ ბულბული:
„მშრომელთა კერას
საზარი ბნელი
გადაფენოდა
გულისა მკვლელი.
ისმოდა კვნესა,
გოდება მწარე
და იღვრებოდა
ცრემლი მდუღარე.
ამ დროს გამოჩნდი,
აიღე ჩანგი
და სევდიანი
გაისმა ჰანგი.
„გოგიას“, „სიმონს“
და „ქრისტინესა“
ღრმათ ჩაწვდა გულში

ეგ შენი კვნესა.
  გიცნო ვინც იყავ,
სულმნათო, შენა
და შეგიყვარა,
გიკურთხა ენა...
  და დღესაც მხოლოთ
იგი გიგონებს,
შენს ღვაწლს ფასსა სდებს,
ამაგს იგონებს
  და ძეგლსა გიდგამს,
თუმცა ღარიბულს.
მაგრამ შიგ აქსოვს
თვის სულსა და გულს.“
  და ამ გალობას,,
ვით სიმთ წკრიალი,
ბანსა აძლევდა
ფოთოლთ შრიალი.
  ცელქი ნიავი
შორს მიაფრენდა
და მწვანით მოსილ
მინდორ-ველს ფენდა.
  ყური დავუგდე
სულ-განაბული
და ამიტოკდა
ძალზე გლახ გული.
  მივხდი თუ ვისიც
იყო საფლავი
და მოვიხარე
მეც მის წინ თავი.

სიმღერა.

1

ერა, არ მინდა ზეკაცათ გავხდე,
არც ღმერთობისა ვარ მონატრული,
მინდა რომ ხალხის მგოსანი ვიყო,
იმას ვუმღერო ჩანგ-მომართული!
ჰოი, აპოლონ! მიკურთხე სიმნი,
მომეცი სიბრძნე, აზრი ცხოველი,
რომ საიდუმლო ცისა და ქვეყნის
გავიგო, ავხსნა, მიუწდომელი!

2

გრძნობავ, იფეთქე,
მომედე ცეცხლათ,
დამწვი, დამდაგე,
მაქციე ფერფლათ!
ჩემი ცეცხლითა
სხვა თუ გათფება,
დაე დავიწვე,
არ მენაღვლება!

3

ბედნიერისთვის არ ვაწყობ ჩანგსა,
ჩემი სიმღერა, ჩემი გალობა
მის გალაღებულ გრძნობათა სიმებს
ვერ შეეწყობა, ვერ შეეტკბობა!
ჩაგრული მხოლოთ ჩაგრულსა ვუმღერ
ხან ბრძოლის ჰანგებს, ხან გლოვის ზარსა,
მრწამს, შეეწყობა მის გულის ძგერას,
ვინც ზიდავს მარად წამების ჯვარსა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბახმარო ს.

ამოვექეცი ბობოქარ ქალაქს,
სადაც ჰაერი მოწამლულია,
სად ერთი ხარობს, ათასი წვალობს,
სადაც სუყველას მრწამსი ფულია,
სადაც ცხოვრება სდუღს და გადმოდის,
სად იბადება აზრი ნათელი,
სადაც წინ სვლაა, წარმატებაა,
სადაც ბრძოლაა შეუწყვეტელი,
და შენ, ბახმარო, მთაო მაღალო,
ლაჟვარდ სივრცეში ზე აზიდულო,
ზურმუხტ ნაძვებით, ნაკადულებით
ყოველის მხრიდან შემოზღუდულო,
შემოგეკედლე, რომ ღონე-მიხდილს,
დაავადებულს მასვა ნექტარი
და დამიბრუნო ძალა, რომ შევძლო
ბოროტებასთან ბრძოლა მედგარი.

—

ვიშ ნეტარებავ! ღრუბლების ზევით,
მსუბუქ ეთერით გარს შემორტყმული
ვდგევარ მწვერვალზე, თავს დამქათქათებს
მზე, ბადრი მთვარე, ვარსკვლავთ კრებული;
ელვა-ქუხილსა ხელითა ვიჭერ,
ლამაზათაა წინ გადაშლილი:
ტყე-მინდორ-ველი, მთა-გორა-სერი
და ზღვა მღელვარე, ფაფარ-აყრილი...
რა შეედრება ნეტა ამ სურათთ!
რას ნახავს თვალი უფრო დიდებულს!
ვაშა ბუნებას, ყოვლის შემოქმედს,
სიმშვენიერით აღსავსეს და სრულს!!

* * *

ყვდიადით მოცულ ტყეში ვიდოდი,
სით წავსულიყავ, თვით არ ვიცოდი,
არ ჩნდა გზა, კვალი.
ნარი, ეკალი
მჩხვლეტდა, მკაწრავდა... სისხლი მდიოდა.
ვკენეს�di, გლოვის ხმა ცათ ადიოდა!
ირგვლივ საზარი
სიცილ-ხარხარი
ისმოდა ავ სულთ. ბუ გაკივოდა.
და შხამიანი გველი სივოდა.
შიშისგან ვთრთოდი
და ვიძახოდი:
„სად არის, სადა, ღმერთი სიმართლის,
ბნელის გამქრობი, მფენი სინათლის?!
მაგრამ პასუხი
ცით მონაქუხი,
საუბედუროთ არსით ისმოდა
და გული უშრეტ ცეცხლით იწვოდა.
იმედს ვკარგავდი,
სულსა ვღაფავდი,
სამარის კარზე ვიყავ მისული.
წყეულიმც იყოს ის წამი კრული!
მაგრამ იელვა
და ასტყდა ღელვა,
ნათელმა სხივმა გასპრა წყვდიადი,
მთისა მწვერვალზე, ვით განთიადი,
აენთო ლამპრათ
და მყის ათასფრათ

ააელვარა მიდამო არე
იქ, სადაც ჩემი სატრფო მწუხარე
იჯდა, მელოდა,
სევდით მღეროდა.
და მეც გავცოცხლდი! წინ გავეშურე,
ძალი და ღონე არ დავიშურე,
რომ ჩემს ღვთაებას,
ჩემს ნეტარებას
გადავეხვიო, ჩავეკრა გულში
და მოვკვდე მასთან, მის სიყვარულში!

„ჯეჯილი“.

(ოცი წლის იუბილეის გამო).

ეჯილი ღელავს, ბიბინებს,
ნიავი ყელზე ეხვევა,
მზე დაქათქათებს, სხივები
ლამაზ გულ-მკერდზე ეფრქვევა,
მთვარე შუქსა ფენს, ცისკარი
თავს დაციმციმებს ტრფობითა,
ნამი პირსა ბანს, ნაკადი
ტკბილათ უმღერის გრძნობითა:
„ჭირიმე შენი ჯეჯილო,
ამწვანებულო ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!“ *)
და ამ სიმღერას მთა, ბარი,
ტყე, ველი, ბუჩქი პატარა,
ია, ნარგიზი, შროშანი,
ბალახი, წყარო ანკარა,
ხე, შაშვი, ნაზი ბულბული,
მწყერი მგოგავი წყნარათა,
იმეორებენ ხმა-ტკბილათ
სულ-გულის გასახარათა:
„ჭირიმე შენი ჯეჯილო,
ამწვანებულო ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!“

*) ეს ორი უკანასკნელი ტაეპი ი. დავითაშვილს ეკუთვნის.

სონეტები.

1. ს. ჯუღელის ხსოვნას.

ღვის პირათ ვიდექ და ზვირთებ შორის
თვალი მოვკარი შენს ობოლ ნავსა;
წინ მიილტვოდი „აღთქმულ ქვეყნისკენ“,
არ უდრკებოდი ქარიშხალს ავსა!
მაგრამ ვერ შესძელ, ძმაო, ბოლომდე
სასტიკ ტალღებთან ბრძოლა მედგარი,
ქვეშ მოყევ იმათ და თან წაიღე
ეს ჩემი გულიც, შენგან დამწვარი;
მას აქვთია, რომ მაგონდები,
მწუხარებისა ცრემლებათ ვდნები
და სევდიანი მწარეთ ვკვნეს: ვაშმე,
ვინ იცის კიდევ რაოდენ გმირსა,
შენსავით მებრძოლს, თავგანწირულსა,
იმსხვერპლებს ჩვენი საერთო საქმე!

---

2. სატრფოს.

მარტო ვარ, მარტო!.. გულსა ღრღნის სევდა,
სული დაეძებს თავშესაფარსა;
შენ კი შორსა ხარ, ჩემო ღვთაებავ,
ვერ მაძლევ ნუგეშს შენს მეგობარსა!
მომიახლოვდი, მომეცი ხელი,
კმარა უშენოთ რაც ცრემლი ვღვარე,
მეტს ვერ ავიტან, თუ გრწამს გამჩენი,
გულში ჩამიკარ და გამახარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემუდარები ისმინე ჩემი:
მომფინე შუქი შვების მომცემი...
ან განმიწონე გულ-მკერდში დანა!
უშენართ რაა სიცოცხლე? კრული:
ვერ ეთვისება ვერაფერს სული...
მევიწროება ცა და ქვეყანა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტროფ.

ენ იალბუზის მწვერვალზე ზიხარ
ყელ-მოღერილი, თვალებ-ელვარე
და ნათელ შუქს ფენ არემარესა,
ვით მოკაშკაშე მზე-ვარსკვლავ-მთვარე!
მე ფრთებ გაშლილი მოვფრინავ შენსკენ,
რომ გიამბორო ბროლის მკერდზედა,
მაგრამ გზას მიკრავს ბოროტი სული,
ურცხვათ მითითებს ბორკილებზედა!
ოხ, როდის, როდის დავამსხვრევ იმათ,
რომ თავისუფლათ გავინავარდო,
შენთან მოვფრინდე, გადაგეხვიო,
ჩემო ედემის ია და ვარდო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდ-ყვავილები.

ზღვის პირათ გაშლილ ლამაზ წალკოტში
ტურფად ყვავოდენ ნახი ყვავილნი:
ვარდი, ზამბაზი, ია, ნარგიზი...
თვალის წარმტაცათ უცხოთ გაშლილნი.
თუმც ხშირი გვალვა, ხშირი ზამთარი
და ქიბ-ღუა, ფესვების მღრღნელნი,
მათ უწამლავდენ სიცოცხლის დღეთა
და გულს უწყლავდენ სევდები მწველნი,—
მაგრამ იტანდენ ყოველ გასაჭირს,
არსებობისთვის იბრძოდენ მედგრათ
და ხმა-შეწყობით უცხო რამ ჰანგზე
ერთობის ჰიმნსა მღეროდენ ერთად.

—

გავიდა ხანი. ცა მოიქუშა.
გრიგალმა მედგრათ დაიგრიალა
და წალკოტს ეცა გამხეცებული,
მილეწ-მოლეწა, გაატიალა...
თან წარიტაცა ვარდ-ყვავილებიც,
ზღვას ჩაბარა აღელვებულსა...
და საცოდავათ დატივტივობენ,
მოშორებულნი სამშობლოს გულსა!

—

როდესაც კიდე-ნაპირებისკენ
მოისწრაფიან ტალღა-ზვირთები,
სიხარულისგან მთლათ ცახცახებენ
შიგ მოტივტივე ვართ-ყვავილები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან გონიათ—კვლავ ნიადაგზე
ფეხს მოიდგამენ, აყვავდებიან
და ჩვეულებრივ ტურფათ, ლამაზათ
და მომხიბლავათ გადიშლებიან.
მაგრამ იმედი რა უცრუვდებათ,
ურკეცდებათ სევდა-ნაღველი...
ზოგნი კვლავ მედგრათ ებრძვიან ტალღებს,
ზოგთ უწყალოთ ნთქავს უფსკრული ბნელი!

—

ჰოი, ყვავილნო, ულვთოდ ტანჯულნო,
არ გაიტეხოთ სამუდმოთ გულნი,
მით ინუგეშეთ, რომ თქვენს ძირებზე,
თქვენებრ ლამაზნი, ტურფათ შემკულნი,
კვლავ იზრდებიან, იფურჩქნებიან
სურნელოვანი ვარდ-ყვავილები
და ობლათ შთენილ სამშობლო წალკოტს
მკერდზე ესხმიან, როგორც ღილები!

ნ. გაბუნია-ცაგარლისას.

(მისი იუბილეის ზამთ).

ამშობლო სცენის ყვავილი
ზამთარს დაეტკნო ძალზედა:
გმინავდა, ცრემლთა ნაკადი
მოჩუხჩუხებდა ოვალზედა.

ნატრობდა ტურფა გაზაფხულს,
საამურს, სანეტაროსა,
რომელიც უხვათ მოფენდა
მზის შუქს—სიცოცხლის წყაროსა.

ნატრობდა, მაგრამ არსად ჩნდა
მორბედი გაზაფხულისა,
ჭიკჭიკა მახარობელი,
გამხარებელი გულისა.

ამ დროს მოფრინდი, მერცხალო,
ფრთა გაშლით სხვებთან ერთადა;
„გაზაფხულდაო,“ შესძახე
ყვავილს ხმა-ტკბილათ, მედგრათა.

მასაქეთია პატრონობ,
უვლი, ინახავ ნაზათა,
გულში იხუტებ, როგორც შვილს,
ეგები ფიანდაზათა.

ვაშა! დიდება შენს სახელს,
მსახურო ხელოვნებისა!
ღირსი ხარ დაფნის გვირგვინის!
ღირსი ხარ ქებათ-ქებისა!

და ერმაც, შენმა მშობელმა,
აღვსილმა სიყვარულითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიად ღვაწლისთვის მადლობა
გადაგიხადა გულითა.
  დაფნის გვირგვინი დაგიწნა,
მადლ-ცხებულ თავის შემკობი,
შიგ ჩააქსოვა, ჩაქარგა
ია და ვარდი, კოკობი;
  ზედ მოაყოლა ჯავარათ
მზე, მთვარე, ვარსკვლავთ კრებული..
თავზე დაგადგა, ვით ჯიღა,
შეგძახა აღტაცებული:
  ვაშა! დიდება შენს სახელს,
მსახურო ხელოვნებისა!
ძეგლი დაიდგი ჩვენს გულში—
ნიშანი უკვდავებისა!

სატრფოს.

ბურუჯა წალკოტში, ზურმუხტის ტახტზე
იჯექ, ლამაზო, სახე ნათელი,
ხელში გეჭირა ზეთის ხილის რტო—
სათნოებისა გამომხატველი!

მე გვერდით გიდექ გრძნობათ ქცეული,
ბოლო არ უჩნდა ჩემს აღტაცებას:
ხან გეხვევოდი ბროლის ყელზედა,
ხან გიმღეროდი ქებათა-ქებას!..

ჩვენს გარეშემო ბედნიერების
წყარო, ჩუხჩუხით ჩამომდინარე,
შხეფებით რწყავდა უხვათ მიდამოს
და ბიბინებდა მთლათ არემარე!

მაგრამ შეშურდა ბოროტ ბელზებელს,
ჯოჯოხეთური იხმარა ძალი:
შენ ცხრა კლიტულში გამოგამწყვდია ..
მე კი მომიდო კაეშნის ალი!

მასაქეთია მწარე ნაღველი
დაუმეგობრდა ჩემს ობოლ ჩანგსა
და რა შევახებ თითს წკრიალა სიმთ,
მყის გამოსცემენ მწუხარე ჰანგსა!

მაგრამ იმ ჰანგში სევდასთან ერთად
ჩაქსოვილია იმედი, რწმენა,
რომ კვლავ გიხილავ, ჩემო ღვთაებავ,
ზურმუხტის ტახტზე მჯდომარეს შენა

და, შენი ხილვით აღტაცებული,
კვლავ მივეცემი აღმაფრენასა
და შენს საქებრათ, სადიდებელათ
ავამუსიკებ ტკბილათ ენასა!

* * *



ზე ამობრწყინდა,
მისი სხივები
კაშკაშა, წმინდა,
როგორც მძივები,
მთა-ბარს გულ-მკერდზე გადაექარგა.
სხივი რა მოხვდა
ბუმბერაზ მთასა,
ნისლი მსწრაფლ მოწყდა,
გაეკრა ცასა
და ღრუბელს გაყვა, გადაიკარგა.
გრილმა ნიავმა
გაშალა ფრთები,
ლაღათ მფრინავმა
ბუჩქ-ბალახები
შეათამაშა, ააშრიალა.
მგოსანმა ჩანგი
აიღო ხელში
და უცხო ჰანგი
ტყე-მინდორ-ველში
გაისმა ნაღვლით სავსე, წკრიალა:
„ვარდი ლამაზი,
წალკოტში რგული,
ნარნარი, ნაზი,
მკერდ-მოქარგული,
ტურფათ ყვავოდა გადაფურჩქნული.
მაღლით შუქს ფენდა
დილის ცისკარი,

ბადრს პირსა ბანდა
ციური ცვარი
და უგალობდა ტკბილათ ბულბული.
მაგრამ ზამთარმა
სასტიკმა, ავმა,
სუსხმა საზარმა,
სულ-შემხუთავმა
უდროთ დაჭკნო, ძირს ჩამოყარა!
დაობლებული,
გულ-სევდიანი
კვნესის ბულბული
კაეშნიანი
და ცხარე ცრემლი სცვივა ანკარა.“

ორი ვარსკვლავი.

ნელსა ჩაუნთქავს მთელი სამყარო,
არ სჩანს ბუნება გადაფურჩქნული,
გულს კაეშანი ღრღნის და აწყლულებს,
ლხინობს, ხარხარებს ბოროტი სული!

ბნელეთის იქით მარტოკა ობლათ
ბრწყინავს, ციმციმებს ორი ვარსკვლავი,
მხოლოთ მათ სხივებს ვეღარ აბნელებს
სქელათ გაშლილი წყვდიადი შავი!

ის თვალებია ჩემი სატრფოსი
სხივთა მფრქვეველნი, ვით მზე და მთვარე!
ჭირიმე მათი! ბადალს ვერ პოვებთ,
რომ მოიაროთ ყოველი მხარე!

ჰოი, ვასკვლავნო! ცხოვრების ბნელ გზას
თქვენ მიცისკროვნებთ, მხოლოთ თქვენ ერთი,
თქვენა ხართ ჩემი სარწმუნოება,
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლის ღმერთი!

იბრწყინეთ მარად, მინათეთ ბნელი,
რომ სულ თამამათ ვიარო წინა
და იქ დავუშვა დროშა ბრძოლისა,
სადაც თქვენა გაქვთ მუდმივი ბინა!

ტუსაღი.

ოთხს კედელში მომწყვდეული,
გამხდარი და ფერ-მიხდილი
წევს ტუსაღი და ხელ-ფეხზე
ადევს მძიმე ხუნდ-ბორკილი.

სიზმარშია, ხედავს: ლაღათ
დანავარდობს მინდორ-ველათ,
კაშკაშა მზე სხივებს აფრქვევს,
მთვარე შუქს ფენს მომხიბვლელათ;

ტყე ზურმუხტის კარავს ადგამს,
ნანას უმღერს ნაკადული,
ნამი პირს ბანს, ქვეშ ეშლება
ველი ტურფათ მოქარგული;

ცელქი სიო მკერდს უგრილებს,
სურნელებას უკმევს ია,
სმენას უტკბობს ციურ მგოსნის
მომხიბლავი ტია-ტია...

და ეძლევა აღმაფრენას,
გულით ხარობს, სულით სტკბება,
მაგრამ, ვაი! სანეტარო
სურათი აქ მსწრაფლ იცვლება.

ხედავს: შავ-ბნელ ჯოჯოხეთსა
გადეშლია ფართოთ ზღუდე
და ბობოქრობს ცეცხლის ალი—
წამების და ტანჯვის ბუდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, ქალი, დიდი, მცირე
შიგ იწვის და იდაგება,
მათი კვნესა, მათი მოთქმა
ბარს აყრუებს, ზეცას წვდება.

სხვებთან ერთად თვითაც იწვის,
ეკიდება ცეცხლის ალი,
შველას ითხოვს, მაგრამ ნაცვლათ
მუხრუჭს უპერს შავი ძალი.

და შემკრთალი ახელს თვალებს,
მწარეთ უკვნესს სული, გული
და მის კვნესას ბანსა აძლევს
ბოროკილების ჩხარა-ჩხური.



ჩ ა ნ გ ს.

ბერიმე შენი წკრიალა ჩანგო,
ჩემო ძმობილო და ამხანაგო!
ვიდრე გვაქვს ძალი, ნუ შევწყვეტთ მღერას...
ჩაგრულ-წამებულთ გულისა ძგერას
შევუწყოთ ჰანგი, შევუკავშირდეთ:
მათთან ვიცინოთ, მათთან ავტირდეთ.
ნუ, ნუ შეგვაკრთობს ლანძღვა-გინება,
ნურც გაგვიტაცებს ქება-დიდება.
ერთხელ არჩეულ ეკლიან გზაზე
ვიარ ოთ, ფეხს ნუ გადავდგამთ განზე:
დაე გვაწრავდეს ნარი, ეკალი,
სისხლით აღვბეჭდოთ ჩვენ ჩვენი კვალი!

—

გზა-გზა შევკრიბოთ ჩაგრულთ ცრემლები,
ვაი-ვაგლახი, მოთქმა, გოდება,
მსხვერპლათ შეწირულთ სისხლის წვეთები,
ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება...
შევკრათ, შევკონოთ ერთ თაიგულათ,
რომ ყველა მისი მსმენელ-მნახველი
შეძრწუნდეს, დადნეს ცრემლთ ნაკადულათ,
უსამართლობა დაგმოს შავ-ბნელი!..

—

ხედავ იმ ტურფას მწვერვალზე მთისა
რომ წამომჯდარა ნათლით მოსილი?
ყველა ჩაგრულთა სატრფოა ისა,
მაისის ვარდი ტურფათ გაშლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ვენაცვალე! მისკენ ვიაროთ,
ჩვენი მიზანი და მისწრაფება
სხვებსაც გავაცნოთ, გაუზიაროთ,
გულს ჩავუნერგოთ მისდამი ტრფობა.
რომ ყველა მისკენ მიისწრაფოდეს,
მხოლოთ იმისთვის უძგერდეს გული,
თვით ჯოჯოხეთსაც არ უდრკებოდეს,
მისთვის იბრძოდეს თავ-განწირული!

ამორაკენესი.

ეხ, ქარიშხალო, რატომ მოწყვიტე
ცხოვრების ველზე ეგ ტურფა ვარდი?!
მაგრამ რას ვამბობ: შენთვის ერთია
ნაზი ყვავილი და ეკლის ბარდი.

—

დედა-ბუნებავ! რისთვის გაფურჩქნე
ეგრე უდროოთ თუ დაკნებოდა?!
რისთვის მიეცი მშვენიერება
თუ იმით ვერვინ ვერ დატკბებოდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონაკვნესი.

ამთრის პირზე გაცრცვილ ბუჩქზე
ვნახე ვარდი გადაშლილი,
ხელი ვახე და რა ვნახე
იყო სუსტი, ფერ-მიხდილი,

ვთქვი ჩემს გულში: ტანჯვის ხუნდში—
მონობაში ვინც იზრდება,
საბრალოა, რადგან იგი
ამ ყვავილსა ემსგავსება!

შიმშილსიცივე.

(პოემიდან „დამსხვრეული სიყვარული“).

ვენ ერთად ვმეფობთ, ერთი გვაქვს ძალა,
დავფრინავთ, დაგვაქვს შხამი, სამსალა.
ვისაც ვეწვევით, გავანადგურებთ,
მის გულში ზიზღსა დავასადგურებთ;
გავუქრობთ სხივსა სიხარულისას,
დავუჭკნობთ ყვავილს სიყვარულისას!



შეყვარებული.

(პოემიდან „დამსხვრეული სიყვარული“)

ადამოა. დიადი
მზე შუქის გამომცემი
დასავლეთით მიცურავს,
ვით ზღვაში ოქროს გემი.
ვარდის ფერათ ელვარებს
ლაჟვარდი ცის კიდური
ბუნების დიდ სარკეში—
ზღვის გულში ჩახატული.
ზღვის პირათ გაშლილ ბაღში
რბილს და ზურმუხტ მდელოზე

ზის ვახტანგი და ფიქრობს
თავის სატრფიალოზე.
გულის ვარდს ელოდება,
მაგრამ არ ჩანს ლვთაება
და ფრთა ჭრელი ოცნება
მისკენ ეპატიჟება:
„ვახტანგ! ფრთები შეისხი,
ვამოფრინდი ჩემთანა,
მსურს გიჩვენო წარმტაცი
საოცნებო ქვეყანა.
შენი სატრფოც იქ არის,
პირბადრი, მშვენიერი,
დაცქრიალებს, დახტუნავს
ლაღი და ბედნიერი.

ვახტანგი.

რას აკეთებს?

ოცნება.

ყვავილებს
კრეფს და კონავს თაიგულს,
თან შიგ აქსოვს, აქარგავს
წრფელს ლ უკვდავს სიყვარულს.

ვახტანგი,

ვის უმზადებს ნეტავი,
ვისთვის უნდა ის ძღვენი?

ოცნება.

შენთვის, რომ მით დაგიტკბოს
მოკლე სიცოცხლის დღენი.

ვახტანგი.

ჩემთვის?.. ახ, ნეტარებავ!..

მაშ გამიძეღ, მოგყვები
და ჩემს სალოკავ ხატსა
გულ-მკერდში ჩავეკვრები!
და მიფრინავს... იმის წინ
იღება უცბათ კარი
და იშლება წალკოტი
სამოთხის დასადარი.
ვარდი ვარდს ეკონება,
ეგრიხება ვაზს ვაზი,
სუმბული იას კოცნის
მომხიბლავი და ნაზი.
მათ შორის ცივი წყარო
მოჩქრიალებს ანკარა,
შხეფებით რწყავს მიდამოს,
ეპკურება ცვარ-ცვარა.
თავს დაყურებს ელენე
ყვავილებით შემკული,
ბროლის თითებს უშვენებს
ლამაზი თაიგული.
ხედავს და აღტაცებით
ხელ-გაშლილი ეხვევა,
მაგრამ ქრება ოცნება...
მწუხარებას ეძლევა.
წყევლის მაცდურ ოცნებას
მწარეთ მოტყუებული,
ძირს ეშვება მდუმარე,
უკვნესს სული და გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავაზაკი.

ე გაჟივრებამ წამწყმიდა,
გულზე დამადო ზიანი....
ვაიმე, კაცათ შობილი
ვერ გავხდი ადამიანი!
ავაზაკი ვარ; ვინ იცის
რამდენს გავუპე გულ-მკერდი,
რამდენი დედა ვატირე
და გამოვსტაცე იმედი!
ან კი რა მექნა? ცხოვრებამ
შემხუთა შემაბორკილა:
ტანჯვა, სიცივე, შიმშილი
და სევდა დამიძმობილა!
ვეღარ გავუძელ, დავეცი,
სისხლის მსმელ მხეცათ გადვიქეცი
და ახლა, როგორც ნადირი,
ტყე-ღრეში დავძრწი მარად მეც!
მე გაჟივრებამ წამწყმინდა,
გულზე დამადო ზიანი...
ვაიმე, კაცათ შობილი
ვერ გავხდი ადამიანი!

ობოლთ მხსნელი.

(ვუძღვნი ჯეჯილ-ის რედაქტორს ანასტასიას)

ორუბლიანი დილა იყო,
მზე არ მოჩნდა სხივგაშლილი,
ცივი ქარი ზუზუნებდა,
კვნესდა ქოხი წამოხრილი.
იქვე ახლო, ქუჩის პირას,
ისხდენ ერთად გიგლა, თინა,
მუხლთ იყრიდენ მოწიწებით
გამვლელ-გამომვლელის წინა.
პურს ითხოვდენ, მაგრამ არვინ
არ აქცევდათ ყურადღებას
და უკვნესდათ სული, გული,
ძირს აფრქვევდენ მდუღარებას.
მაგრამ ბოლოს მადლიანი
მათ წინ შედგა ვიღაც ქალი,
დაუყვავა, ანუგეშა
და გაუქრო ჭმუნვის ალი.
„ვინ ხართ შვილნო? კითხა ტკბილათ,
აქ რათ ზიხართ ქუჩაზედა?
—ობლები ვართ უპატრონო,
არ გვყავს მამა, არცა დედა.
გვშია, მაგრამ პური არ გვაქვს,
არც არავინ მოგვიტანა
და შიმშილით ვიხოცებით,
ღონეს ვკარგავთ თანდათანა...“
შეკრთა, ცრემლი მოერია,
დადნა მათი სიბრალულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აეგზნო, გაიმსუქალა
მშობლიური სიყვარულით.
  დატრიალდა როგორც ჯარა,
ხელ-უხლები მოხნა ველი
და დათესა შიგ ხორბალი,
არ მოაკლო შრომის ხელი.
  ლაჟვარდ ცასა ნამი სთხოვა,
ღრუბელს—წვიმა, მზეს—სხივები
და ყველა ეს ყანას გულზე
დააქარგა, ვით მძიები.
  და შიგ მადლი დატრიალდა,
აბიბინდა მსწრაფლ „ჯეჯილი“,
მომკო, ობლებს მიუტანა
და მოუკლა მით შიმშილი!

—

  ოცმა წელმა განვლო შემდეგ
რაც რომ მოხდა ეს ამბავი
და ჩვენც გვმართებს, რომ მადლობით
მოვიხაროთ მის წინ თავი
  და შევსძახოთ: ბარაქალა
მას, ვინც თვისი ნიჭი, ძალა
არ დაშურა ობლებისთვის...
ცხარე ცრემლი შეუმშრალა,
  სულიერი საზრდო მისცა,
ბრმა თვალები აუხილა,
რომ ცხოვრების უკმეხ გზაზე
გაარჩიონ ღამე, დილა!

ვლ. მესხიშვილს.

ქრმა, ბაწაწინა, აკვანში
იწექ და ალუს ამბობდი,
მით მშობელ დედის მგრძნობელ გულს
ახარებდი და ატკბობდი,
  და ლმერთი ხელოვნებისა,
გარშემო სხივთა მფენია,
მოფრინდა, შუბლზე გაკოცა,
თანვე გადმოგცა გენია!..
  და მოევლინე ჩვენს სცენას
მნათობლათ, ვით მზე დიადი;
ცეცხლი დაანთე გრძნობისა,
დაადნე ყინვა ზვიადი!..
  და დღესაც შენღა კაშკაშებ,
არვინ გყავს ჩვენში სადარი:
გვითხარ, ეგება იკოდე—
შენი მემკვიდრე სად არი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ე კ ი თ ხ ვ ა.

ზე ამობრწყინდა, გამალა სხივნი,
ვით მოცომცომე, ბრჭყვიალა მძივნი,
ტყე-მინდორ-ველსა,
მთა-გორა-სერსა
ლამაზ გულ-მკერდზე გადააქსოვა
და მსწრაფლ გააქრო წყვდიადის გროვა.
გათენდა დილა.
ვიშ, როგორ გრილა!
ნიავი დაქრის, არხევს ბუჩქნარებს
და ძირს ყრის ციურ მარგალიტ ცვარებს.
ხაროობს ცხოველი
არსი ყოველი,
სალამს უძღვნის მზეს, სინათლის წყაროს,
რომელიც მართავს მთელსა სამყაროს.
მე კი წყაროსთან,
მოწანწკარესთან,
ვდგევარ და შევცქერ მნათობს დიდებულს,
ლაჟვარდ სივრცეში გადმოკიდებულს,
და იმის გულზე,
ცეცხლათ ქცეულზე,
ვკითხულობ ცხადათ წითლათ წარწერილს
კაცობრიობის ტანჯვას გამოვლილს.
და ვეკითხები:
ნუთუ მსხვერპლები,
რაც რომ შევსწირეთ, არ კმარა, არა,
კვლავ ბევრ მსხვერპლს ითხოვს ქვეყნის იარა?!..

მე აქ მეავს სატრფო.

ითისა მწვერვალზე ჩამავალი მზე
ბრწყინავს, მიდამო მის სხივთ ციმციმზე
ათასფერათ ელავს,
ბიბინებს, ღელავს...
ძირს გაშლილ ბარსა ჩრდილი ფენია,
ბუნებას ძალზე მოუწყენია:
არც ნიავი ქრის,
არცა რა იძვრის...
მხოლოთ სადღაც შორს კვნესის ბულბული,
თითქო სატრფო ყავს მასაც ტანჯული!

—

მე ზურმუხტ ტყის პირს დავიარები
და ჩემსავე თავს ვესაუბრები:
მხოლოთ ერთათ-ერთს
ჩემს სალოცავ ღმერთს —
სატრფოს ვიგონებ ტყვეთ ქმნილს, ტანჯულსა,
ბნელ საკანში მჯდომს, ხელ-ფეხ შეკრულსა
და შავ ფიქრთ ქსელნი
განუსაზღვრელნი
გონების თვალ-წინ სხვა და სხვა სახით
იხლართებიან სავსე ვაგლახით.

—

ჩუ! ის ვინ არის იქ, ყვავილებში,
თვალის წარმტაცათ გადაშლილებში,
რომ დაცქრიალებს
და მიქნევს ხელებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა ნეტა? რათ მეღიმება
ის მშვენიერი, უცხო ქმნილება?
ეი, ლამაზო,
ნარნარო, ნაზო!
საითკენ მიწვევ, მეპატიჟები?
ოცნების მხარეს? ვერ წამოგყვები.

—

მე აქ მყავს სატრფო. მისი ჭირიმე!
მასზე ვოცნებობ... მისთვის ვტირი მე...
იგია ჩემი
შვების მომცემი.
ყველგან, სადაც ვარ, მთაში თუ ბარად,
ის მაგონდება, ის მახსოვს მარად.
მასთან ვარ სულით,
მასთან ვარ გულით,
ვერ გავეყრები, ვერ გავშორდები!
მისთვის ვიკოკცლებ, მისთვის მოვკვდები!

—

შენ-კი, მაცდურო! გამშორდი მალე,
ჩამომეხსენი, ჩამომეცალე
და სხვა მონახე,
დაუგე მახე:
ჩვენ'ში ბევრია ოცნების მონა,
იმათ მიუძღვენ ეგ ვარდის კონა;
დაუტკბე სული
დაობებული
და გააფრინე ოცნების მხარეს,
რომ ვერ ხედავდენ ხალხთ სიმწუხარეს.

ჯვარცმული ქრისტეც აღსდგება

ამთარი იდგა. ბუნებას
გარს ერტყა ყინულთ ბორკილი
და მწარეთ კვნესდა, გმინავდა
ტანჯვის უღელ ქვეშ მოხრილი.
მაგრამ მოფრინდა ფრთა ჭრელი
კვლავ გაზაფხული ცქრიალა,
იქ მთა აყვავდა, აქ ბარი,
ბულბულმაც ჩააწკრიალა:
„ბუნება აღსდგა, გაცოცხლდა,
აყვავდა ათას ფერათო...
ჯვარცმული ქრისტეც აღსდგება,
აღსდგება უეჭველათო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ კვნესი, ძმაო, ნუ კვნესი!

ალარიჟრაჟია, ლაჟვარდი
ცა ვარდის ფერად წითლდება,
მზე მოაცურებს ოქროს ნავს,
შავ-თვალა ღამე ფითრდება.
ყოველი არსი შვებას გრძნობს,
სტკბება, ნეტარებს გულითა
და ეგებება გარიჟრაჟს
ხმა-ტკბილი კრიმანჭულითა.

—

მხოლოთ შენ კვნესი ჩაგრულო
მძიმე უღელ ქვეშ მოხრილი,
ცალკე შიმშილი გაწუხებს,
ცალკე სულს გხუთავს ბორკილი.
კითხულობ: „ჩაგრულთ ცაზედა
როდისღა გარიჟრაჟდება?!“
მაგრამ პასუხი არ გესმის
და გულზე ცეცხლი გედება.

—

ნუ კვნესი, ძმაო, ნუ კვნესი,
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
და გათენდება შენთვისაც,
მზე გამოკრთება დიადი,
სულს დალევს შავი ცხოვრება,
გაიფანტება წყვდიადი!

* * *

ყვდიადით მოცულ ტყეში ვიდოდი,
სით წავსულიყავ თვით არ ვიცოდი:
არ ჩნდა გზა, კვალი.
ნარი, ეკალი
მჩხვლეტდა, მკაწრავდა... სისხლი მდიოდა;
ვკვნესდი, გლოვის ხმა ცათ ადიოდა!
ირგვლივ საზარი
სიცილ-ხარხარი
ისმოდა ავ-სულთ... ბუ გაკიოდა...
და გესლიანი გველი წიოდა.
შიშისგან ვთრთოდი
და ვიძახოდი:
„სად არის, სადა, ღმერთი სიმართლის,
ბნელის გამქრობი, მფენი სინათლის?!“
მაგრამ პასუხი,
ცით მონაქუხი,
საუბედუროთ, არსით ისმოდა
და გული უშრეტ ცეცხლით იწოდა:
იმედს ვკარგავდი,
სულსა ვდაფავდი,
სამარის კარზე ვიყავ მისული.
წყეულიმც იყოს ის წამი, კრული!
მაგრამ იელვა
და ასტყდა ღელვა...
ნათელმა სხივმა გასჭრა წყვდიადი,

მთისა მწვერვალზე, ვით განთიადი,
აენთო ლამპრათ
და მსწრაფულ ათასფრათ
ააელვარა მიდამო არე.
და დავინახე თვალებ ელვარე
ჩემი ოცნება —
ჰეშმარიტება!
და მეც გავცოცხლდი! წინ გავეშურე,
ძალი და ღონე არ დავიშურე,
რომ ჩემს ღვთაებას,
ჩემს ნეტარებას
გადავეხვიო, ჩავეკრა გულში
და მოვკვდე მასთან, მის სიყვარულში!

ამონაკვნესი.

ალამო არის. ცა ულრუბლო, მოწმენდილია,
მაგრამ არსად ჩანს ღამის მნათი პირბადრი
მთვარე,
მხოლოდ კაშკაშა ვარსკვლავები დაციმციმობენ,
საზარი ბნელით მოცულია მთლათ არემარე!

დიდი ქალაქი ელექტრონით განათებული
ისევ მოძრაობს, სავსე არის ხალხით ქუჩები,
აქ განცხრომის-ძე დასეირნობს გულ-მხიარული,
იქ მძიმე ტვირთს ქვეშ მწარეთ კვნესენ შრომის
შვილები!

ჩუ! დიდ დარბაზში როიალმაც დაიგრიალა...
ჩუ! ქოხებიდან გამოისმა გლოვისა ზარი:
იქ იმ დარბაზში ნეტარება გამეფებულა,
აქ ამ ქოხებში – გაჭირვება გულშესაზარი!

ჰოი, ცხოვრებავ, ულმობელო, გაუტანელო,
როდემდის უნდა იმტარვალო ასე, ამგვარათ,
ერთი ახარო, ანეტარო, ამხიარულო,
ათასი სტანჯო, ცხარე ცრემლი ადინო ღვარათ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანეს მწუხარება.

(საშობაო)

ბოციმციმე ვარსკვლავებით
ჰოჭედილა ცის კამარა
და მათ შორის ბადრი მთვარე
მიმოკურავს მშვიდათ, წყნარა.

ფართოთ გაშლილ მთა-ბარს მხრებზე
თეთრი ჩადრი წამოესხამს!
ყინვა მეფობს საშინელი,
სუყველაფერს აჭკნობს სუსხავს.

სოფელი ჯერ კვლავ მოძრაობს,
საშობაოთ ემზადება,
ზოგი ღორს კლავს, ზოგი ქათამს...
ისმის ჭრიახ-ჭყვირილ-ყეფა.

ღარიბ ქოხში, კერის პირას,
ზის ივანე თავდახრილი
და გარს გრკალათ შემორტყმია
მწუხარების ხუნდ-ბორკილი.

„ხვალ შობაა,—ფიქრობს იგი,—
დღე ძვირფასი, დღე დიადი,
ყველა ხარობს, ემზადება,
მე კი არ მაქვს ცივი მჭადი!

რათა? რისთვის? ნუთუ მშრომელს,
დღე და ღამე ოფლის მღვრელსა,
მაცხოვარო, წილათ მეოგო
შიმშილი და ოხვრა-კვნესა?!

მაშ რისთვის სთქვი: მოდით ჩემთან
მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო,
ნეტარებას სასუფეველს
დაგიმკვიდრებთ ყველას თქვენო?!.“

და, თვალზე ცრემლ-მორეული,
მწარეთ კვნესის, მწარეთ გმინავს...
შიშველ-ტიტველ ცოლ-შვილს იქვე
მჩვარ-კონკებში წყნარათ სძინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადი.

ანთიადი
ის დიადი
სხივ-გაშლილი კაშკაშებდა,
ცის კიდური
შუქ-მოსხმული
ვარდის ფერათ ელვარებდა!
და წყვდიადი
გულ-ზვიადი
სამუდამოთ გვშორდებოდა:
ძალს კარგავდა,
სულს ღაფავდა,
შავ ჯურღმულში ეშვებოდა.
თენდებოდა!
ყველა გრძნობდა
სიხარულს და ნეტარებას
და ძალთაძალს,
ვით ნატვრის თვალს,
უმღეროდა ქებათქებას.
მაგრამ ავი
კუპრებრ შავი
ღრუბელი კვლავ გაიშალა:
დაიფარა
ცის კამარა
და გამეფდა ბნელი ძალა.
ბოროტ-სული
წყეულ-კრული
კვლავ მიეცა ნეტარებას:

ხარობს, ლხინობს,
კრიმანჭულობს...
თან ავრცელებს ბოროტებას.
და ვინც გულით
აგზნებულით
სინათლისკენ მიილტოდა,
გმობდა ბნელსა
საზარელსა,
გაბედულათ მიიბრძოდა,—
დევნის, სტანჯავს,
ჯვარზე აკრავს,
ასმევს ნაღველს, შხამს, სამსალას,
გულს უგმირავს,
სისხლს უყინავს,
სიკოკცხლისას აცლის ძალას...
მაგრამ მოვა
დრო, ამოვა
ჩვენს ცაზე კვლავ განთიადი
და თვის ისრებს
სტყორცნის ღრუბლებს...
გათენდება დღე დიადი!
მზე შუქ-მფენი
სანატრელი
გაშლის სხივებს სანეტაროს,
გაანათებს,
გაანათლებს
ზესკნელს, ქვესკნელს, მთელ სამყაროს!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგანო გლეხის მწუხარება.

ღე და ღამე მიწას დავცქერ,
მოუსვენრათ ვიქნევ თოხსა,
მაგრამ მაინც ვერ ვუშველე
მშიერ ცოლ-შვილს, წახრილ ქოხსა!

ბალღები მთლად შიშველი მყავს,
ცოლს არა აქვს თავსაფარი,
მე ტანთ ჩოხა არ მაცვია
და ფეხებზე—ქალამანი.

მაგრამ ამას ვინ დაეძებს
და ვის ესმის ჩემი ჭირი:
კარს მადგიან მათრახებით
მამასახლისი და გზირი!

საკმარისი მიწა მაინც
რომ მქონოდა საკუთარი,
თან მყოლოდა ერთი ძროხა
და იმასთან უღლათ ხარი,—

სუყველაფერს გავუძლებდი,
სუყველაფერს ავიტანდი
და ცხოვრების მძიმე უღელს
საფლავამდე მივიტანდი.

მაგრამ არრა მაბადია,
ბოგანო ვარ, უქონელი;
მხოლოთ ძალა შემრჩენია,
ეს ცოცხალი საქონელი.

ვყიდი, მაგრამ დღეს ამასაც
აღარა აქვს გასავალი
და, ორ ცეცხლ'ში ჰომწყვდეულსა,
მეკიდება ჰმუნვის ალი!

მესის კვარდნის წინ.

ა მოპირქუშდა, განრისხდა,
აწრიალებთ მოძრაობს ძალები,
ელვა ხაზს აცლებს ჰაერში,
ვით ცეცხლის ნაპერწკალები!
  რას მოასწავებს ყველა ეს?
სჩანს, მეხი უნდა გავარდეს:
ან განადგურდეს ქვეყანა,
ან-და სრულიად განახლდეს.
  მაშ, თუ ასეა, დე მალე
გავარდი მეხო, იგრგვინე
და შეასრულე განზრახვა,
სურვილი დაგვირგვინე!
  ნუ დაიშურავ ქვეყნისთვის
მაგ შენს მძლავრ ცეცხლის ნაპერწკლებს,
რომ დროზე, შენი წყალობით,
ან მკვდრებს ვეწიოთ, ან ცოცხლებს!

ნ ა კ ა დ უ ლ ი.

(ვუძღვნი აკაკის)

ალი კლდე გასკდა, ნაკადი
გადმოჩუხჩუხდა ანკარა
და ბუჩქნარს, გვალვით დამჭკნარსა,
თვის მოვლინება ახარა.

„აყვავდი,—ჩაურაკრაკა,—
გადაიფურჩქნე ველათო,
ნუ შეუდრკები გვალვასა,
მოვლენილს შენდა მწველათო!

თან მომაქვს ძალა სიცოცხლის—
ეს შვების ნაკადულიო,
უხვათ მოგირწყავ ფესვებსა,
რომ გაგიმთელდეს წყლულიო!“
და თან ჩუხჩუხით გასწია,
ტყე-მინდორ-ველი დაღარა,
შხეფებით მორწყო ბუჩქნარი,
გამოაცოცხლა, ახარა.

—

ნაკადი შენ ხარ, პოეტო,
ბუჩქნარი—ჩვენი ერია,
შხეფები—ტკბილი ჰანგები,
რაც შენს ჩანგს დაუჟღერია.
ვაშა! დიდება შენს მარჯვენს,
ენა-წყლიანო მგოსანო!
იცოცხლე დიდხანს, იცოცხლე,
მოხუცო ჟაღაროსანო!

ქ უ ჩ ა ზ ე.

ბამთრის ცივი ღამე არის,
ცაზე არ სჩანს ბადრი მთვარე;
ქარიშხალი დაზუზუნებს,
კვნესის, გმინავს არემარე.

ქოხები ძილს მისცემიან,
დიდ დარბაზში ლხინი არი:
როიალი სტეკს და გრგვინავს,
აქ ცეკვაა, იქ—ხარხარი...

გარეთ, იქვე კედლის ძირას,
ტანჯული და წამებული,
შრომის შვილი გდია, სძინავს,
საცოდავათ მოკრუნჩხული.

სიზმარშია. თვალ-წინ უდგას
წარსული და აწმყო მწარე,
და ძილშიაც ვერ ისვენებს,
არ შორდება სიმწუხარე.

ბოდავს: „შორს, შორს, ნუ მოდიხარ
შე სულხავო, მყრალო მგელო,
რომ შემჭამო ძვლათ ქცეული,
რას შეიქენ, საძაგელო?!

ჩამომეხსენ შენც, დარაჯო,
დეე ვეგდო აქ ბედკრული,
ქუჩის აღზრდილს, ქუჩაზედვე
ამომხდეს მე ბარემ სული!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სიცივით გათოშილი,
ძიგძიგებს და ცრემლათ დნება
ქარიშხალი თავს დაღმუის,
თითქო ამას ეუბნება:

ოს, ბედკრულო, აღსდეგ, აღსდეგ,
გაიღვიძე, გამოფხიზლდი,
განთიადი უკვე მოსჩანს,
ცასა ფარავს მხოლოდ ბინდი;

აწ საცაა მზეც ამოვა,
სხივებს მოფენს არემარეს
და გაგითფობს გაყინულ გულს,
ცრემლს შეგაშრობს თვალზე მწარეს!

* * *

ეშვენიერი დილა იყო—
მომხიბლავი, სანეტარო,
მზე ლაჟვარდში დაცურავდა,
კაშკაშებდა მთლათ სამყარო!

ბაღში ვარდი იშლებოდა,
ბუჩქნარებს ქვეშ—ნაზი ია
და ლამაზათ ბიბინებდა
მთა და ბარი, გულ-მკერდ ღია!

ტოტებ გაშლილ კაკლის ხეზე
იჯდა ჩიტი ტურფა, ჭრელი
და გალობდა უცხო ჰანგზე,
ბანს აძლევდა ტყე და ველი!

მე შორიდან შევყურებდი,
მიტოკავდა ძალზე გული
და თან ასე შევნატროდი,
მის ტკბილი ხმით მოხიბლული:

„ნეტავი შენ, ჩიტუნიავ,
თავისუფლათ დანავარდობ,
ხან აქა ხარ, ხან იქა ხარ,
არას ჯავრობ, არას დარდობ!

დედამიწა ქვეშ გიგია,
თავს გახურავს ცა ლაჟვარდი,
კაშკაშა მზე სხივებს გაფრქვევს,
ყნოსვას გიტკბობს ია-ვარდი!

ბედნიერი არსება ხარ,
ლალათ ცხოვრობ მთათ ჯ ბარათ,
ვერვინ გჩაგრავს, ვერვინ გტანჯავს,
ნეტარებ და სტკბები მარად!..“

მაგრამ უცბათ მომაგონდა,
რომ მასაც ყავს მჩაგვრელ-მტერი:
ქორ-მიმინო, არწივ-ორბი
და ბევრი სხვაც სისხლის მსმელი.

და ამევსო სევდით გული,
მომემატა წყლულზე წყლული,
ვთქვი: „ცხოვრება უკულმართი
ჩაგვრაზეა აგებული!“

გაზაფხულს.

ეკაცრი ზამთარი მძვინვარებს,
თოვლს დაუფარავს მთა-ბარი
და ცრემლათ დნება ბუნება,
ყინვა-სუსხისგან დამწვარი.
ოხ, გაზაფხულო, სადა ხარ?!
უშენოთ გული მკვდარია,
შავ ფიქრთ ზღვა აწევს გონებას,
სულსა ღრღნის გლოვის ზარია.
მოდი! მახვილი ნესტარი
გულში აძგერე ზამთარსა,
სიცოცხლის ძალა უკვდავი
მკერდზე დაამყენ მთა-ბარსა:
რომ ტყე აყვავდეს, ბუჩქებს ქვეშ
გადაიშალონ იანი
და მოიქარგონ ათას ფრათ
მინდვრები, გულ-მკერდ ღიანი;
მდელო ამწვანდეს, წალკოტში
გადაიფურჩქნონ ვარდები,
ბულბულმა ჩანგსა ჩამოკრას,
გაიქროს სევდა-დარდები;
ყინულთ ბორკილი დაიმსხვრეს,
კვლავ აჩუხჩუხდეს ნაკადი,
მიეცეს შვება-სიხარულს
მრავალ ჭირ გადანახადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა.

ეძულს, მძულს მე ზღვა, როცა იგი
წყნარათა დგას, არ ინძრევა
და, როგორც მკვდარს, მას სიცოცხლის
ნიშან-წყალი არ ემჩნევა.
მძულს იმისთვის, რომ მაგონებს
კაცს უგულოს, ცოცხლათვე მკვდარს,
უმოძრაოს, მონათ ქცეულს,
გაუბედავს, მხდალს და მშიშარს.

—

მიყვარს, მიყვარს ზღვა, როცა ის
ღელავს, გრგვინავს, ზვირთებს ისვრის,
სალკლდეს ებრძვის. ამაყათ მდგარს,
მის წინაშე ქედს არ იხრის.
მიყვარს მისთვის, რომ მაგონებს
გმირს დიდებულს, ჩაგრულთ მცველსა,
მედგრათ მებრძოლს, თავგანწირულს
და მტრის წინ ქედ-მოუხრელსა!

ვითომდა იგიც ქრისტიანია!

ირვის დრო არის, ეკლესიაში
მდგომელი ლოცულობს, ხალხი გროვდება
და ყველა ერთად სასოებითა
პირჯვარსა იწერს, ღმერთს ევედრება.

—

აგერ ხალხთ შორის სვეტთან უძრავათ
რომ არის კაცი გაჩერებული,
მან გუშინ ფიცით უმანკოებას
გამოასალმა ტურფა ასული;
დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ევედრება,
ვითომდა იგიც ქრისტიანია!

—

ეგერ კუთხეში განმარტოებით
რომ არის კაცი ხელ-აპყრობილი,
მან გუშინ მუშას ქირა წაართვა,
აკვნეს-ატირა შრომისა შვილი;
დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ევედრებ,
ვითომდა იგიც ქრისტიანია.

—

აგერ აღსავლის კარების წინა
რომ არის კაცი დაჩოქებული,
მან გუშინ ფულში თვით ძმა გაყიდ,
როგორც იუდამ ჩვენთვის ჯვარცმული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ევედრება,
ვითომდა იგიც ქრისტიანია!

—

ეგერ კედელთან სასანთლის ახლო
რომ არის კაცი ხელ-დაკრეფილი,
მან გუშინ ჩუმათ ქრთამი აიღო
და გაამტყუნა მართალი პირი;
დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელიც მოუტანია
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ევედრება,
ვითომდა იგიც ქრისტიანია!

—

აგერ კარებთან... მაგრამ, ეჰ, კმარა,
ტყულათ ვაცეცებ თვალებს ცრემლიანს,
აქ, ამდენ ხალხში, ერთსაც ვერ ვხედავ
ჭეშმარიტ კაცს და ნამდვილ ქრისტიანს!